მეათე გამარჯვება

მიმდინარე წლის პირველობის გათამაშებაში თბილისელებს ჯერ არ უნახავთ ასეთი საინტერესო და დაძაბული მატჩი, გარდა მოსკოვის დინამოსთან ჩატარებული მატჩისა. თბილისის "დინამო" ცნობილია თავისი ტემპერამენტით და მათ მატჩის დასაწყისშივე შესთავაზეს "ტრაქტორის" გუნდს თამაშის მაღალი ტემპი. სტუმრებმა გამოწვევა მიიღეს და ეს ტემპი თითქმის ბოლომდე არ შენელებულა.

ანგარიში გახსნა დრიბლინგის ოსტატმა, ბორის პაიჭაძემ, რომელიც ვირტუოზულად გაუსხლტა ხელიდან მოწინააღმდეგის მცველებს, მიიტანა ბურთი კარებთან და ძლიერი დარტყმით გაახვია იგი ბადეში. მაგრამ მეორე წუთშივე სტალინგრადის თავდამსხმელმა კალმიკოვმა ანგარიში გაათანაბრა.

თამაში კვლავ ცენტრიდან დაიწყო. 35-ე წუთზე თბილისელებმა მიიღეს საჯარიმო დარტყმის უფლება. პაიჭაძემ ბურთი მიაწოდა ღოღობერიძეს და თბილისელთა ანგარიში კიდევ ერთი ქულით გადიდდა. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს შესანიშნავად თამაშობდა თბილისელთა შუამარბი ავთანდილ ღოღობერიძე, რომელსაც თბილისელებმა "მეორე პაიჭაძე" შეარქვეს. მართლაც მისი სწრაფი და მოსაზრებული თამაში საერთო აღტაცებას იწვევდა მაყურებელში. მან 36-ე წუთზე კიდევ ერთი ბურთი გაიტანა სტალინგრადელთა კარში და ამით უზრუნველყო თბილისელთა გამარჯვების შანსები.

"ტრაქტორის" თავდამსხმელთა ხუთეული ძლიერი იერიშებით ცდილობს საპასუხო ბურთების გატანას, მაგრამ "ფოლადის ბეკები" სალდაძე და ფეხლევანიდი იგერიებენ მათ ყველა შემოტევას.

მეორე ტაიმში სუსტად მოთამაშე ხარბედია პანიუკოვმა შეცვალა, რომელმაც ხელიდან გაუშვა ნაღდი ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. ფორმაში ვერ იყო აგრეთვე გაიოზ ჯეჯელავაც, თუმცა მხოლოდ 30-ე წუთზე მან შეძლო გარღვევაზე გადასვლა ოსტატური დარტყმით გაიტანა ბურთი "ტრაქტორის" კარებში.

ორივე ტაიმის განმავლობაში სწრაფ ტემპს ვერ გაუძლეს სტუმრებმა და ბოლო წუთებში მათ აშკარა დაღლილობა დაეტყოთ. ისინი, ალბათ, შეურიგდნენ დამარცხების ფაქტს და ბურთს ხშირად აუტში ისროდნენ. მატჩის დასასრულს ბორის პაიჭაძემ გაიტანა მეხუთე და უკანასკნელი ბურთი. ამრიგად, პირველი წრის უკანასკნელი მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" ბრწყინვალე გამარჯვებით , ანგარიშით 5:1. ეს თბილისელთა მეათე გამარჯვებაა, და მათ პირველ წრეში 22 შესაძლებლობიდან 20 ქულა შეაგროვეს. თბილისის "დინამო" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება გათამაშების ლიდერს - წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდს.

30 ივნისს თბილისის დინამოელები ჩაატარებენ მეორე წრის პირველ კალენდარულ მატჩს კიევში ადგილობრივ "დინამოსთან".

ახალგაზრდა კომუნისტი 25.06.46